საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

13/01/2026

MES 6 26 0000019643

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 07 ოქტომბრის №1300431 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ დააკორექტირა 1.1. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით, კერძოდ:

"რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები და ჩამოყალიბდეს ლაკონურად."

ბ) საბჭომ ამოიღო სტანდარტის 1.1. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები ხელახლა გაიწეროს იმგვარად, რომ ნათლად იყოს მითითებული, თუ რომელ უნარებს, ცოდნასა და კომპეტენციებს მიაღწევენ სტუდენტები პროგრამის დასრულების შემდეგ.

გ) საბჭომ სტანდარტის 1.4. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია დააკორექტირა და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით, კერძოდ:

"რეკომენდებულია, სწავლისა და შეფასების მეთოდების დახვეწა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მერვე სწავლის შედეგის მიღწევა."

დ) საბჭომ სტანდარტის 1.5. კომპონენტში ამოიღო პირველი რეკომენდაცია, კერძოდ:

"რეკომენდებულია, კურსის აღწერილობაში სწავლის შედეგები დაიწეროს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობის/ავტონომიის ჩარჩოს შესაბამისად, ისე, რომ თითოეულ კურსში მითითებული იყოს, თუ რომელი სწავლის შედეგი კლასიფიცირდება ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიის შესაბამისად.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, არ შეიცვალა პირველი სტანდარტის შეფასება.

ე) საბჭომ არ გაიზიარა სტანდარტის 4.2 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, უნივერსიტეტებმა შეიმუშაონ კონტრაქტი ან ფორმალური შეთანხმება ხელმძღვანელებს, თანახელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის, რომელშიც განსაზღვრული იქნება მათი დანიშვნა, ასევე
ხელმძღვანელებისა და სტუდენტების უფლებები და მოვალეობები."

საბჭომ 4.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა როგორც, „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“;

ვ) საბჭომ სტანდარტის 4.4. კომპონენტთან გაცემული ორი რეკომენდაცია:

1. "რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის განახლება, რათა ყველა კომპიუტერს ჰქონდეს ოპერაციული სისტემა, მწარმოებლის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერით."
2. "რეკომენდებულია კომპიუტერული ინფრასტრუქტურის იმგვარი განახლება, რომ კომპიუტერებს ჰქონდეს საკმარისი ოპერატიული მეხსიერება და გამოთვლითი სიმძლავრე იმ მონაცემთა ანალიზის განსახორციელებლად, რომელსაც სტუდენტები მაგისტრატურაში გაივლიან." - გააერთიანა და ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირების სახით, კერძოდ:

"რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის განახლება, რათა ყველა კომპიუტერს ჰქონდეს ოპერაციული სისტემა, მწარმოებლის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერით."

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, არ შეიცვალა მეოთხე სტანდარტის შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 13 იანვრის სხდომის №14820 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები და ჩამოყალიბდეს ლაკონურად;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტებმა დაადგინონ თითოეული, ინდივიდუალური სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული;
- რეკომენდებულია, სწავლისა და შეფასების მეთოდების დახვეწა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მერვე სწავლის შედეგის მიღწევა;
- რეკომენდებულია, „ტექსტის ანალიზის“ კურსის სასწავლო გეგმის შეცვლა, რათა ის შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ უახლეს მოვლენებს;

- რეკომენდებულია, მსგავსი თემატური შინაარსის მქონე კურსებში სწავლის შედეგების ხელახლა ფორმულირება, რათა ნათელი იყოს, თუ რამდენად არის კურსებს შორის შინარსობრივი დუბლირება;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააწესოს სპეციალობის შესაბამისი მისაღები გამოცდა აპლიკანტებისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების შესაბამისად;
- რეკომენდებულია, მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მითითება იმ სილაბუსებში, სადაც ის არ გვხვდება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობას.
- რეკომენდებულია, „განვითარების თეორიების“ კურსის ფინალური გამოცდისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებისა და ბრძანება #3-ის შესაბამისად;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ, რომ პროგრამაში ჩართულმა ყველა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარმოადგინოს განახლებული რეზიუმე (CV), რათა უზრუნველყონ გამჭვირვალობა და დაადასტურონ მათი მიმდინარე ჩართულობა.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის განახლება, რათა ყველა კომპიუტერს ჰქონდეს ოპერაციული სისტემა, მწარმოებლის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერით;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 23 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 23 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული